ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცნობის ფურცელი

№ 2365 ორშაბათი, 29 დეკემბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2365

ხელის ფასი: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ევა ივანეს ასული კვესაძისა, კოტე, ვასო და ნატალია კვესაძეები, ლიზა და დავით ცინცაძე აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას პირველი თავისი ძვირფასი და საყვარელ ქმრისა, ხოლო დანარჩენი საყვარელ მამისა და სიმარისა

ტატო (იგივე ესტატე) კვესაძისას.

მიცვალებულის გვამს გაასვენებენ თავის საკუთარ სახლიდან (კირპიჩნი ქუჩა) წმიდა ნიკოლოოზის ვერის ეკლესიაში და იქიდან წმიდა ნინოს სასაფლაოზე ორშაბათს, 29 დეკემბერს. პანაშვიდი დილის 9 საათზე დ სალამოს ექვს საათზე. (2—1)

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესიაბის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

ორშაბათს 29 დეკემბერს, 1903 წ., მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

კარმენ

4 მოქმ. ოპერა, მუზიკა ბიზესი.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი არციბაშევა, კარრი, ლელინა, სკორუპსკაია; ბ-ნნი; ფიგნერი, ილიუშჩენკო, ამირჯანი, სანგურსკი, გავრიილოვი.

დასაწყისი სალამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ი. ბ. პოზენი.

ანონსი: 30 დეკ.—„ციგანთა ბარონი“.

ოთხშაბათს, 31 დეკემბერს—„კამორრა“, 3 მოქმედ. კომიკური ოპერა, მუსიკა ესპოზიტოსი. შაბათს 3 იანვარს, ბენეფისი ე. ფ. კარრისა. მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერის მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნება „აიდა“.

მზადდება წარმოსადგენად „ვინძორის ნათლიდედები“. ბილეთები ისყიდება.—პირველ იანვრისათვის დანიშნული დილის წარმოდგენა „რუსლან და ლუდმილა“ საზოგადოების სურვილისამებრ გადაიდო 2 იანვრისათვის. ვისაც 1-ლ იანვრისათვის ბილეთი აუღია, 2 იანვარსაც გამოადგება, (ნ.)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჯიჯინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კამოევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ვ. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11-12.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ზრ. ვ. სობოლევსკი.—ხირურგია და ორტოპეიდა: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათს 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

სადამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, მიხეილის ქუჩიდან-კი 34 ნ.

(წლ.) ტელეფონი № 274

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., სალ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი იაჩნაქისა. (წლ.)

ექიმი
ვ. დ. ლამბაშიძე
ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს სალამოს 6—7 საათ. ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი № 46. წლ.

კბილის ექიმი
ი. პ. ახალშენიშვილი
(ელისაბედის ქუჩა, № 38).
იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. სალამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და სალამოობით 5—7-მდე.

ქუთაისში
ექიმი გ. დ. ნასარიძე
მიიღებს შინაგან და ნერვების სნეულებთი ავადმყოფთ დილით 9—12-მდე, სალამოით 5—7 საათამდე. ტფილისის ქუჩა, სახლი ანტაპარმაკლიძისა. (0—6.—29)

კბილის ექიმი
ნ. ტყეშელაშვილი
ოლგას ქუჩა, № 31. იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე: დილის 9—1 ს., ნაშუადღევს 2—4-მდე. კვირაობით 10—6-მდე.

ახალი ამბავი

◆ „პრავიტ. ვესტნიკ“-ში დაბეჭდილია შემდეგი **უმაღლესი ბრძანება:** „ხელმწიფე-იმპერატორმა, თანახმად შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენებისა, 1903 წლის 18 ოქტომბერს, კეთილ-ინება და ბრძანა, სანამ გადასინჯულ იქნება სომეხ-გრიგორიანთა სარწმუნოების სასულიერო უწყების დებულების კანონები, წესად იქმნას შემოღებული, რომ საეპარქიო ეპისკოპოს-ვიკარიების, კონსტიტორიის წევრების, სასულიერო აკადემიებისა და სემინარიების რექტორებისა და მასწავლებლების, მონასტრების წინამძღვრების, აგრეთვე სამრევლო მღვდლების, დიაკვნებისა და მედავითნეების დანიშვნისათვის ნება უნდა გამოითხოვონ: ეპისკოპოს-ვიკარების დანიშვნაზე—მთავარმართებლისაგან, დანარჩენ სამღვდელო პირთა დანიშვნაზე—გუბერნატორისაგან ან სხვა სათანადო მოხელესაგან“.

◆ როგორც „პეტერბურ. ვედ.“ გადმოგვცემს, საკითხს კავკასიის ზოგიერთ ადგილებში **ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის** შემოღების შესახებ იუსტიციის სამინისტრო მომავალ წლის შემოდგომაზე ადრე არ განიხილავს.

◆ ტფილისის გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა **საქველმოქმედო საზოგადოებათა საყურადღებოდ.** ხშირად საზოგადოებანი საქველმოქმედო საზოგადოების ან გასართობების გასამართავად უდრო-უდროოდ და უწესრიგოდ აღძრავენ ხოლმე შუამდგომლობას, ამისთვის გუბერნატორმა განაცხადა: 1. შუამდგომლობა საქველმოქმედო გასართობების შესახებ უნდა წარედგინოს გუბერნატორის კანცელარიას 10 დღით ადრე. 2. შუამდგომლობაში აღნიშნული უნდა იყოს: ა) ვის სასარგებლოდ გაიმართება გასართობი; ბ) როდის და რა სადგომში; გ) ვინ იქნება პასუხის მგებელი. 3 შუამდგომლობას უნდა ახლდეს 2 ცალი პროგრამისა, ამასთან ამსრულებელთა გვარები სავსებით უნდა იყოს აღნიშნული (ნება-რთვის შემდეგ შეიძლება გვარების ნაცვლად სხვა ნიშნები დაისვას).

◆ 4 იანვარს მასწავლებელ ქალთა საზოგადოება გამართავს **შობის ხეს ღარიბ ბავშვთათვის.** გამგენი სთხოვენ ყველას დახმარება აღმოუჩინონ ფულით, ტანისამოსით, სათამაშოებით და სხვით. შეწირულებანი უნდა გაეგზავნოს საზოგადოების კონტორას (გრაფის და სამების ქუჩის კუთხე) ან თავმჯდომარეს კნ. ელისაბედ ირაკლის ასულს ჯამბაკურიან-ორბელიანს.

◆ თავ. გ. დ. წერეთელმა უმაღლეს მთავრობისაგან ამ რამდენისამე ხნის წინად **საჩხერიდან სოფელ ჭალამდე რკინის გზის** ვიწრო ლიანდაგის გაყვანის უფლება აიღო. როგორც გვატყობინებენ, თავ. წერეთელს თავისი უფლება გადაუცია ინჟენერ ჩემბერსისათვის. წერეთელი ერთ ხანად მიიღებს 100,000 მანეთს, ხოლო ყოველ წლობით 80 წლის განმავლობაში 6,000 მანეთს. ინჟენერმა ჩემბერსმა სოფელ ჭალის მცხოვრებ აზნაურ აბაშიძეებისაგან 60 წლით აიღო ჭალის მთა, საიდანაც უნდა გაიტანოს ხეტყე. ჩემბერსი ჭალის მახლობლად გაჰმართავს სახერხავ ქარხანას.

◆ პარასკევს, 27 დეკემბერს, დილით, ქართულ თეატრში დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ გაჰმართა **მოსწავლეთათვის წარმოდგენა.** დადგეს გოგოლის კომედია „რევიზორი“. თეატრი სავსე იყო მოსწავლე ახალგაზდობით. ბევრნი უსასყიდლოდ მიიწვია გამგეობამ.

◆ 25 დეკემბერს ერევანში გაემგზავრა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მდივანი ე. ო. იოსელიანი **ამერიკის მსოფლიო გამოფენისთვის** კოლექციების შესაკრებად.

◆ 25 დეკემბერს, შობა დღეს, ქართულ თეატრში გაიმართა შობის ხე ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა შვილებისათვის. მოთავე ამ საქმისა, მათე იანქოშვილი, ძალიან სცდილობდა, რომ ბავშვები უკმაყოფილონი არ დარჩენილიყვნენ. მართლაც საღამომ მხიარულად ჩაიარა. დაესწრო ორასამდე ბავშვი. საღამოს განაგებდა ქ-ნი იანქოშვილი.

◆ ბარისახოს (ხევსურეთი) წიგნთ-საცავის ზედამხედველი ბლაღ. ი. ხატიშვილი და გამგე მასწავლებელი მიხ. შამანაური გვთხოვენ დავბეჭდოთ: „უგულითადესს მადლობას ვუძღვნით „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ და ბ-ნთ კეთილაძეს და ბურჭულაძეს, რომელთაც შემოსწირეს ჩვენ მიერ ახლად დაარსებულს ბარისახოს წიგნთ-საცავს თვისი წვლილი“.

◆ როგორც გვატყობინებენ, ვიღაც ბოროტგანმზრახველთ შქმერის მთაზე მიმავალი 50 რაჭველი გაუძარცვავთ. ეს რაჭველები ჭიათურის რკინის გზით მისულან დარკვეთში და აქედან შქმერის გზით რაჭისაკენ გამგზავრებულან. გზაზე დახვედრიათ ორი შეიარაღებული კაცი, რომელთაც სათითაოდ გაუძარცვავთ მგზავრები. ზოგისთვის წაურთმევიათ ქუდი, ზოგისთვის ფული, ზოგისათვის ნავაჭრი ტანისამოსი და სხვა. ადგილობრივი პოლიცია შეუდგა ბოროტმოქმედთა ძებნას.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ 6 დეკემბერს, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ქუთაისში გარდაიცვალა კნეინა ალექსანდრა გრიგოლის ასული შერვაშიძისა. მთელი აფხაზეთი იცნობდა კნეინას როგორც ღარიბთა მოწყალე ადამიანს. როგორც სწავლა-განათლების დიდმა პატივისმცემელმა, განსვენებულმა დასტოვა ანდერძით 5,000 მანეთი, რომელიც ხელუხლებელ თანხად უნდა შეტანილ იქნას რომელსამე ბანკში, სარგებელი კი უნდა ეძლიოს ერთ-ერთს უღარიბეს აფხაზთა შვილს საშუალოსა და უმაღლეს სასწავლებელში სწავლის მისაღებად. ეს ფული გადაეცემა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობას, რომელსაც დაევალება ღარიბ მოწაფისათვის სტიპენდიის დანიშვნაც. კ-ნა ალექსანდრამ არ დასტოვა უმწეოდ არც ის ღარიბი ავადმყოფნი, რომელნიც აფხაზეთიდან ქუთაისში ჩამოდიან საექიმოდ, და ს. პ. თოფურიას საავადმყოფოს დაუტოვა იმათ დასახმარებლად 1000 მანეთი. ამას გარდა მთაწმინდის ძველს ივერიის მონასტერს შესწირა 300 მანეთი. შემწეობა აღმოუჩინა აგრეთვე თავის ღარიბ მოსამსახურე პირთ. კნეინა ალექსანდრას დარჩა მხოლოდ ერთი ვაჟი, რომელიც სწავლობს სიმბირსკის კადეტთა კორპუსში. ანდერძის შესრულება განსვენებულმა მიანდო თავ. გრ. ბატ. შერვაშიძეს და ნაფიც ვექილს ვლ. ზ. ჩაჩიბაიას. 9 დეკემბერს წირვისა და პანაშვიდის შემდეგ, რომელიც გადაიხადა ყოვლად სამღვდელო ლეონიდმა, კ-ნა ალექსანდრა წაასვენეს აფხაზეთს, რომ დაასაფლავონ სოფ. ბედიაში, საგვარეულო სასაფლაოში.

◆ ქალაქის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს: რადგან ამ ბოლო დროს ძლიერ გავრცელებულია ღორის ჭირი ქუთაისის მახლობლად მდებარე სოფლებში, ამისათვის საჭიროა, რომ საზოგადოებამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს დამღას (клеймо), რომელიც ამოწმებს, რომ ღორის ხორცი გასინჯულია ბეითლისაგან. გაუსინჯავი ღორის ხორცის ყიდვა ძლიერ საშიშარიაო. ღორის ჭირი გავრცელებული ყოფილა შემდეგს ადგილებში: ქუთაისის მაზრაში: სოფლებს ჭაგანსა და სამტრედიაში; სენაკის მაზრაში—ილორსა და ქარისუბანში; ოზურგეთისაში—ძიმითსა, ხრიალეთსა, სამღვთოსა, ჯუმათსა, ნებაურსა, ლანჩხუთსა, ჭოლობანსა, ჭკონოგვარსა, ქვიანსა, ჯონაგსა, ბახვსა, უჩხუბასა, ინტაბურსა, ამაღლებასა და სამებაში.

◆ ქუთაისის ქალაქის გამგეობას მოლაპარაკება აქვს სამთო ინჟენერ ალიბეგოვთან ქუთაისში ტელეფონის გამართვის შესახებ. იმის შესატყობად, თუ რამდენი აპარატის გამართვა შეიძლება პირველადვე, ქალაქის გამგეობამ საჭიროდ სცნო პირადათ მოლაპარაკებოდა სხვა-და-სხვა დაწესებულებათ და სავაჭროებისა და კერძო სახლების პატრონთ შესახებ იმისა, ისურვებენ თუ არა ტელეფონით სარგებლობას. ეს ცნობები უნდა შეიკრიბოს 28 ამ თვემდის. წლიურად თითო აპარატით სარგებლობა 75 მანეთად ეღირება. ვინც ტელეფონით სარგებლობას ისურვებს, უნდა განცხადება შეიტანოს ქალაქის გამგეობაში. განცხადების დაბეჭდილი ბლანკების მიღება ქალაქის გამგეობაშივე შეიძლება.

◆ 22 დეკემბერს ქალაქის სასამართლოში, როგორც იქნა, გათავდა, მოწაფეებისა და სხვათა საქმე, რომლითაც ჩვენი პოლიცია ბრალსა სდებდა მათ მყუდროება-წესიერების დარღვევასა და წინააღმდეგობის გაწევაში. იქმნება, მკითხველებსაც ახსოვთ, ეს საქმე დაიწყო ამ ერთის წლის წინად, მაგრამ დასასრული არ მიეცა, რადგან პოლიციის მიერ დანიშნულ მოწმეების გამოცხადებას არაფერი ეშველა. როგორც ბრალდებულთა, ისე პოლიციის მხრით დასახელებულმა მოწმეებმა, გარდა ორიოდე თვითონ ამ საქმით დაინტერესებულ ებრაელისა, ერთხმად დაამტკიცეს, რომ ბრალდებულნი არაფრით დამნაშავენი არ ყოფილან ამ საქმეში, რომ პოლიციამ სრულიად უდანაშაულოდ სცემა იმათ და ტანისამოსი შემოახია. მომრიგებელმა-მოსამართლემ სრულიად უდანაშაულოდა სცნო ბრალდებულნი და ყველანი გაამართლა. მოწაფეებს იცავდა ნაფიც ვექილის თანაშემწე ი. თ. ბაქრაძე. ეგ ის საქმეა, რომლის გამო უბნის ზედამხედველი ქავთარაძე „ცნობის ფურცლის“ რედაქტორსაც უჩივის—ბრალსა სდებს დიფფამაციაში.

◆ 22 დეკემბერს ქალაქის გამგეობის დარბაზში მოხდა საკვირაო სკოლის მასწავლებელთა

კრება, რომელზედაც დადგენილ იქმნა: მომავალის წლის 4 იანვარს სათავად-აზნაურო სკოლის შენობაში საკვირაო სკოლის მოწაფეებისათვის დაიდგას ბუნდოვანი სურათები, გაიმართოს შობის ხე და დაურიგდეს მოწაფეებს წიგნაკები, ხილი და ტკბილეულობა.

◆ ქალაქის გამგეობამ კანცელარიაში მოსამსახურე პირთ დაურიგა ამ უქმეების წინ ჯილდოთ ერთის ან ნახევარის თვის ჯამაგირი.

◆ 23 დეკემბერს ბავშვებისთვის მზრუნველ საზოგადოების გამგეობის წევრებმა ადგილობრივს ვაჭრებში შეჰკრიბეს შემოწირულება 29 დეკემბერს ღარიბ ბავშვებისათვის უფასო შობის ხის გასამართავად. ქუთათურმა ვაჭრებმა, მათდა სასახელოდ, დიდი გულშემატკივრობა გამოიჩინეს ამ საქმეში და, ვისაც კი პირადათ მიმართეს გამგეობის წევრებმა, უარი არავის უთქვამს.

წერილი კახეთიდან

მუშა ხალხი და დღიური ფასი.—უგზოობა.—
სხვა და სხვა ავ-კაცობა.

აქაურს მუშა ხალხს ამინდმა ისე შეუწყო ხელი, რომ თითქმის ყოველ დღე მუშაობენ გარდა კვირა-უქმისა. ეშურებიან ზამთრისათვის შეიმზადონ შეშა და ბედნიერ დღეებისთვის იშოვნონ ფული, რომ პირის გასახსნილებელი იყიდონ. სექტემბრის ბოლო რიცხვებიდან აქამდე დღიური მუშა იღებდა 25—30 კაპეიკს, ეხლა კი 35 კაპეიკი გახდა. რასაკვირველია, ფასი ძალიან მცირეა, მაგრამ მაინც მუშაობენ, რომ სხვა და სხვა ხარჯებს გაუძლვნენ. მომეტებული ნაწილი სოფ. მუკუზანში საუფლისწულო მამულში დაიარება, სადაც დღეში იღებენ 50 კაპ. თავისივე ჭამა-სმით.

აქეთ ძალიან ცუდი გზებია. საკმაოა ცოტა რამ ყინული და...მშვიდობით აქაურ გზებზე სიარული, მუხლამდის ლაფში დაეფლობა კაცი. ამ უბრალო სოფლებს კიდევ ეპატიებათ, რადგან თვალ-ყურს მცირედ ადევნებენ, მაგრამ სოფელ ველისციხესი კი რა მოგახსენოთ. სოფ. ველისციხე უდიდესი სოფელია აქეთ მხარეს, სადაც ბაზარია. თუ წვიმა მოვიდა, ბაზარში აღარ გაივლება და თუ თოხარიკ ცხენით მიბრძანდებით ბაზარში, მთელს დუქნებს და იქ მოტრიალეთ სულ თავით-ფეხამდის დასთუთხნით. თუ ბაზარს გადაუხვიეთ სადმე ყრუ-ქუჩაში, ჩაეფლობით და მერე ბედმა იცის. ამ სოფლისთვის კი გასაჭირი არ არის გზების შეკეთება მით უმეტეს, რომ ზედ ჭერემისხევზე სცხოვრობენ, რომელსაც აურებელი ქვა-ქვიშა მოაქვს ზედ კარზე.

ქურდობას, შუაკაცობას, კაცის კვლას, ვაზის გაკაფვას და სხვა ამისთანებს კარგა ხანია ფესვი აქვს აქეთ გადგმული. ახლა კიდევ გადაწვა შემოიღეს. სოფ. კალაურში ყოველს საღამოს ხალხი გამოდის კარზე და იყურება აქეთ-იქით, სით გაჩნდება ცეცხლიო, ისე ხშირია. ქურდობისთვის ესეც კარგი საშუალებაა. მოიპარავენ რასმეს, გააცილებენ გზა მშვიდობისას და მერე ან საბძელს ან სათივეს წაუკიდებენ ცეცხლს, რომ ხალხი გასაქრობად შეგროვდეს და ამასობაში მოპარული შორს გააცილონ. ამისთანა მდგომარეობაშია ხალხი და როცა იმათ უბედურების დროს ვაი-უშველებელზე გამოგვეღვიძება და ტკბილი ძილი დაგვიფრთხება, გავიზმორებით, გავაწლაპუნებთ ტუჩებს და ისევ მივეცემით ტკბილს ძილს ან კიდევ იქნება შევუკურთხოთ კიდეც, რომ იმათმა ხმაურობამ ძილი ან სასიამოვნო სიზმარი შეგვირყია.

ა. ფ.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 დეკემბერი

მინსკი. ბორისოვში გაიხსნა ცეცხლისაგან დამზღვევი საურთიერთო საზოგადოება.

მოსკოვი. აკურთხეს ხორცის ბირჟის შენობა.

ხარკოვი. ლოკომოტივების მკეთებელი ქარხანა დღესასწაულობს მეათასე ლოკომოტივის გაკეთებას.

ოდესსა. გემს „ცარიცა“-ს ნავთსადგურში დაეჯახა გემი „ნივერნე“ და არა „ნიობე“. „ნივერნე“-ს მგზავრები შიშის ზარმა შეიპყრო და ზღვაში გადაცვივდნენ. 100 კაცი დაიღრჩო. „ცარიცა“ ლუზას მოსწყდა და ნაპირას გაირიყა. შვიდასამდე მგზავრი მაჰმადიანი მლოცველნი გადარჩნენ. „ცარიცა“ და ძალიან დაზიანებული „ნივერნე“ გემებმა სტამბოლის ნავთსადგურში მიიტანეს; დაზიანებულ გემის შეკეთებას რამდენიმე კვირე დასჭირდება.

რომი. იაპონიის გემები „ნისსინ“ და „კასუგა“ დილის 4 საათსა და 30 წუთზე გავიდნენ ზღვაში.

ფილადელფია. იაპონიამ შეიძინა კრამპის გემთსაშენებელში ოსმალეთის კრეისერი „მეჯიდიე“; იაპონიამ რუსეთზე $2^{1}/_{2}$ მილიონ დოლარით მეტი შეაძლია და დაინარჩუნა.

ტოკიო. იაპონიის მთავრობა აცხადებს: უსაფუძლოა ხმა, ვითომც ჩვენ კორეაში ჯარი გაგვეგზავნოსო.

პარიზი. საფრანგეთის ელჩი ბელგრადში დროებით სამსახურს დაეთხოვა და სეულს გაემგზავრა.

ჩემულპო. აქ მოელიან საფრანგეთის კრეისერს „პასკალს“.

ბელგრადი. პოლიტიკურ წრეებში მოელიან, რომ ეხლანდელი კაბინეტი შეიცვლება პაშიჩის კაბინეტით.

პარიზი. დეპუტატი-ნაციონალისტი ასსარი აცხადებს, მთავრობას შეეკითხება ელზასელ დეპუტატის დელსორის ლუნევილიდან გაძევების შესახებაო. ნაციონალისტების გაზეთებმა გაილაშქრეს მთავრობის წინააღმდეგ; რადიკალების გაზეთები კი მთავრობას ამართლებენ. დელსორს ლუნევილში უნდოდა პროტესტის გამოცხადება ნიშის დაკეტვის გამო.

გმუნდენი. დანიის მეფე უკეთ არის.

28 დეკემბერი

პეტერბურგი. პირველ იანვარს, ახალის წლის გამო საზამთრო სასახლეში მათი უდიდებულესობანი სტუმრებს მიიღებენ.

ფიუმე. ჩინეთის მთავრობა შეეკითხა აქაურ ნაღმის საკეთებელ ფაბრიკას—გააქვს თუ არა დიდძალი გაკეთებული ნაღმიო. ფაბრიკამ უპასუხა, არ მაქვსო. იაპონიამ ნაღმები გასულ წელს შეიძინა.

პორტ-არტური. შეერთებული შტატები და იაპონია დაბეჯითებით თხოულობენ, ტრაქტატები დაუყოვნებლივ იქმნას დამტკიცებული. გარეშე საქმეთა მინისტრი დიდ გაჭირვებაშია, რადგან უფრო მოსალოდნელია, რომ რუსეთმა მანჯურიის ნავთ-სადგურები არ გახსნას.

ჰონკონგი. (სპეციალური დეპეშა) „დეილი პრესსე“ იუწყება, რომ ტიბეტის დალაი-ლამამ ინდოეთის ვიცე-კოროლს უკან დაუბრუნა წერილებიო.—ფრანგები თხოულობენ რკინის გზის კონცესიებს ფუცზიანის მხარეში.

პარიზი. საფრანგეთის მთავრობის აზრით, ის, რაც რუსეთმა უკანასკნელ ნოტაში დაუთმო იაპონიას, გვაძლევს საფუძველს იმედი ვიქონიოთ, რომ უთანხმოება აცილებული იქმნება. რუსეთმა იმდენი დაუთმო, რომ აღიარა იაპონიის უპირატესობა კორეაში. ამ დათმობამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ტოკიოში. მოლაპარაკებას ისევ განაგრძობენ.

ბელგრადი. კენჭის ერით სამსახურიდან უნდა დაითხოვონ მეფის ორი ადიუტანტი და სამი ორდინარცი, ამათგან ოთხი შეთქმულთა პარტიას ეკუთვნის.

ვენა. იაპონიის აქაური სამხედრო აგენტი დეპეშით გაიწვიეს.

სოფია. ყოველ საფუძველს მოკლებულია ის ხმა, ვითომ აჯანყებულთ მუქარის წერილები გაეგზავნოსთ ოსმალეთის მოხელეებისა და რუმელიის რკინის გზათა საზოგადოებისათვის. კომიტეტები დაადგიან რეფორმების შემოღებას. ამბობენ, რომ მთავრობა ამზადებს მხედრობის ორგანიზაციის მომატებასა და გაფართოვებასო. შესვენების შემდეგ საერო კრებას წარუდგენენ საკითხს ახალ კრედიტის—ათ მილიონ ფრანკის შესახებ.

სტამბოლი. სომეხ-გრიგორიანთა პატრიარხი ცირკულიარულ ეპისტოლეთი შეეკითხა აქაურსა და პროვინციის ეპისკოპოსებს, რა გზას უნდა დავადგეთ, თუ ვინიცობაა მე რუსეთმა რუსის მოხელედ გამომაცხადაო და დამოუკიდებლობა სომეხთა ეკკლესიისა გაუქმდაო. ცირკულიარს აზრად აქვს, აღძრას საკითხი კათალიკოსის რეზიდენციის გადატანის შესახებ.

პორტ-საიდი. ინგლისის კრეისერი „დიანა“ წავიდა აღმოსავლეთს დაბეჭდილის ბრძანებით.

ნიუ-იორკი. გაზეთი „ტრიბუნე“ სასურველად სთვლის, რომ რუსეთ-იაპონიის უთანხმოება გადაეცეს განსახილველად ჰააგის ტრიბუნალს. რუზველტს არ სურს, უთანხმოების საქმეში შუამავლობა იკისროს.

ნიუ-იორკი. როგორც ტოკიოდან იტყობინებიან, იაპონიამ გადასწყვიტა განაგრძოს მოლაპარაკება. თუმცა ის არ არის კმაყოფილი რუსეთის მიერ წარდგენილ პირობებით, მაგრამ მაინც თავის-თავს ნებას არ აძლევს, ულტიმატუმი წარადგინოს და მოლაპარაკება შესწყვიტოს; იაპონიას სურს ერთხელ კიდევ შეეცადოს, რომ რუსეთს გამოაცვლევინოს წინადადებანი. მოლაპარაკება განეგრძობა რამდენსამე კვირას და დაუჯერებელია, რომ ამ ხნის განმავლობაში მშვიდობიანობა დაირღვას.

სტამბოლი. არზრუმიდან მიღებულია ცნობები, რომ სასუნის კაიმაკამი გაიქცა დაახლოვებულ პირებითურთ, რადგან გამოჩნდნენ მეამბოხე ანტრანიკა და აჯანყებულთა ბრბოები. რამდენიმე პოლკი გაგზავნეს საზღვარზე.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი

განცხადებანი

სადღესასწაულოდ

ქართველ ქალთა ამხანაგობის სამკერვალოს გამგეობა მიჰმართავს ქართველ ქველმოქმედთ, ვაჭართ და **ბედნიერ** ქართველ ბავშვებს განსაკუთრებით, ხელი გაუწვდინონ და დაეხმარნენ საახალწლოთ მათ სახელოსნოს ღარიბ და ობოლ შაგირდებს რითაც კი შეიძლებენ: ფულით, ხილეულობით, ხორაგით, ტანთსაცმელით, ფეხსაცმელით (თუნდ ნახმარიც იყვეს), სათამაშოებით. ყოველგვარ შეწირულობას მიიღებს, ბავშთა გასანაწილებლად, გამგე საზოგადოების საქმეებისა ეკატერინე გაბაშვილისა. ვერა, მოსკოვის ქუჩა № 6. (3—2)

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცნობებს საქონლის მრეწველთა და საქონლის პატრონთ, რომ ფინანსთა და შინაგან საქმეთა მინისტრების ნება-რთვის ძალით, 1904 წლის 1 იანვრიდან ტფილისის ქალაქის საყასბოსთან შემოღებული იქმნება იმ საქონლის დაზღვევა, რომელიც საყასბოში უვარგისი გამოდგება. დასაზღვევი გადასახადი: 12 კაპ. მსხვილ-ფეხა საქონელზე, 1 კ.—ცხვარზე, 2 კ.—ხბოზე და 41 კაპ.—ღორზე. დაწუნებულ ხორცის პატრონს პრემიად მიეცემა მთელ დაწუნებულ ხორცის ღირებულების (იმ დროს არსებულ ნიხრით) სამიმეოთხედი. თუ ტყავი პატრონს დაუბრუნდება, მაშინ მიეცემა 80% ნიხრით ღირებულობისა.

„დებულება დაწუნებულ საქონლის პატრონთა დაჯილდოვების შესახებ“, რომელიც მოწონებულია საბჭოს მიერ და დამტკიცებული ფინანსთა და შინაგან საქმეთა სამინისტროების მიერ, შეუძლიან მსურველს მიიღოს უსასყიდლოდ ქალაქის გამგეობაში. ნ. (3—4)

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვითა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

ახალი წიგნი
რუსულს ენაზედ

Какъ улучшить кавказскую народную школу (როგორ უნდა აღსდგეს კავკასიონის სახალხო სკოლა), იაკობ გოგებაშვილისა, ფასი ექვსი შაური. Къ вопросу о мингрельской начальной школѣ, ვარიანტისა, მშვენივრად დაბეჭდილი პეტერბურგში, ფასი ერთი აბაზი.

ПРАВДА О ТИФЛИСѢ, მეორე ბევრად შევსებული გამოცემა, ფასი ერთი აბაზი.

ისყიდება ტფილისის და ქუთაისის წიგნის ყველა მაღაზიებში და სხვა ქალაქებშიაც.

ახალი გამოცემა
წერა-კითხვის საზოგადოებისა

ბურჯი ეროვნებისა,

თხზულება იაკობ გოგებაშვილისა, მეორე ბევრად შევსებული, გამოცემა. ფასი ერთი აბაზი. ვინც ათობით იყიდის, წიგნი დაეთმობა 16 კაპეიკად, ვინც ოცობით—სამ შაურად.

ვარდისფერი
ბროლისებური **საპონი**
№ 4711

ამ საპონში **ბევრი გლიცერინია.**

რადგან ბევრი ქაფი იცის, ამიტომ
ხაირათიანია.

ვარდის საუცხოვო
სურნელება აქვს.

აი თვისებანი, რომელნიც **საუკეთესოდ** ხდის ამ საპონს.

ფერდ. მიულგენსი
კოლოკოლნაია **№ 4711** კელნსა
და რიგაში.
(მც. 10.—6)

თმის საღებავი
ნიგვზის
ექსტრაქტიდან
№ 4711

ჭაღარა თმასა, გინდა ქერას მოკლე ხანში სასურველად ჰღებავს, როგორც გსურთ: გინდ ღია ფერად, გინდ შავად. რამდენად უფრო ხშირად იხმართ ამ საღებავს, იმდენად უფრო გაშავდება თმა და ამიტომ გაჭაღარავებულს კაცს მალე შეუძლია წინანდელი შავი ფერი დაუბრუნოს თმას.

№ 4711 თმის საღებავი ნიგვზის ექსტრაქტიდან უპირატესობის ღირსია ყოველგვარ სხვა საღებავებთან, რადგან მავნე არაფერი ურევია შიგ.

ნება დართულია ლიფლიანდიის საგუბერნიო მმართველობის საექიმო განყოფილებისაგან № 2753 1896 წლის 12 ოქტომბერს.

ფერდ. მიულგენსი
კელნი რეინზე და რიგა
მის უდიდებულესობის სასახლისათვის სხვა და-სხვა მასალის დამმზადებელი. (მც. 9—4)

Առաջիկայ 1904 թուի յունվարի 15-ից

ԿԸ ՎԵՐՍԿՍՎԻ

ՄՇԱԿ

ԼՐԱԳՐԻ ՀՐԱՏԱՐԱԿՈՒԹԻՒՆԸ

«ՄՇԱԿԸ» ԿԸ ՀՐԱՏԱՐԱԿՎԻ ՆՈՅՆ ՊՐՕԳՐԱՄՈՎ ԵՒ ՆՈՅՆ ՈՒՂՂՈՒԹԵԱՄԲ

ամեն օր, բացի տօներին յաջորդող օրերից

ԲԱԺԱՆՈՐԴԱԳԻՆԸ. «Մշակի» տարեկան գինը յունվարի 15-ից մինչև տարվայ վերջը 10 րուբլի է, տասն և մէկ ամսվանը նոյնպէս 10 ր. և մի ամսվանը՝ 1 րուբլի։

Ամերիկայի բաժանորդները պէտք է վճարեն տարեկան 6 դոլլար. Եւրօպայի բաժանորդները՝ 30 ֆրանկ. Պարսկաստանի բաժանորդները՝ 10 րուբլի։

Պէտք է դիմել հետևեալ հասցէով՝ ТИФЛИСЪ, Редакція «МШАКЪ», իսկ արտասահմանից՝ TIFLIS, Rédaction du journal «MSCHAK».

Յայտարարութիւնները ընդունվում են բոլոր լեզուներով։

Առաջին համարը լոյս կը տեսնէ, հինգշաբթի օր, յունվարի 15-ին

Дозв. ценз. Тифлисъ 28 декабря 1903 г. ელექტრონის სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხ—ისა, (Электропеч. Груз. Издат. Т—ва